

# საქართველო



საქართველო ქურნალი მხირუელთაგანთათვის

1919.

აპრილი

№№ 2-3. - 4



## შინაარსი.

|  |    |
|--|----|
| I. საქართველოს გერბი—სურ.— . . . . .                             | 1  |
| II. მოცეკვავე პარასკევა,—ლექსი ი. სინარულიძისა . . . . .         | 3  |
| III. საჩუქრად ბებიას,—ნინო ყორჩიბაშისა . . . . .                 | 6  |
| IV. იესო ბავშვებში,—სურ. . . . .                                 | 8  |
| V. კურდღლის პატარძალი,—დ. კასრაძისა . . . . .                    | 9  |
| VI. ოთარი სოფელში,—(დასასრული) ფარისა . . . . .                  | 17 |
| VII. რატომ მიყვარს ღრუბლები,—ლეო იმნაძისა . . . . .              | 32 |
| VIII. მწყემსი,—ლექსი გ. ქუჩიშვილისა . . . . .                    | 34 |
| IX. ვაიმე ჩემო ტკბილო ამაგო!...—ცქვიტისა . . . . .               | 35 |
| X. ქიანჭველას საოცარი თავდადასაყალი,—(თარგმანი) კაკისა . . . . . | 39 |
| XI. რას გამიჩერდი, ღვინავე,—ლექსი დ. ელიოზიშვილისა . . . . .     | 43 |
| XII. „იგი მღერის“!—ლექსი ლათიკო ნ. ლოლობერიძისა . . . . .        | 44 |
| XIII. შემოწირულება . . . . .                                     | 45 |
| XIV. პაწია რებუსები . . . . .                                    | 48 |





# ნაწილი

წელიწადი 86-XV.

№ 3—4

აპრილი, 1919 წ.



საქართველოს გერბი.





საქართველოს  
საბავშვო  
საქმიანობა

## მოცეკვავე ჰარასკევა

(უძღვნი ვართანუმა დავიდოვს).



ჰარასკევას ვერ იცნობთ?!  
ცელქია და ცქვიტია,  
ხან ფრთხილობს, ხან გოგავს,  
ვით ბედურა ჩიტია;  
სულ იცინის, სულ ცმუკავს,  
სულ ხტის მოუსვენარი,  
მუდამ მხიარულია,  
მუდამ მოუწყენარი.

სწავლაშიც ხომ მის კლასში  
არავის ჩამორჩება,  
თამაშს მაშინ დაიწყებს,  
გაკვეთილს რომ მორჩება;

მარტო ამისთვის ვაქებ,  
იქნებ ვინმეს ჰგონია?—  
—არა, მისი მსუბუქი  
ცეკვაც მოსაწონია;

უზუნდარაც კი იცის,  
ბალდათური, ლეკური;  
იქნებ ფიქრობთ, სჭიროდეს  
ან დაირა, ჩონგური?!



ჭირმა არ შეგაწუხოთ,  
 ესენი არ სჭიროდეს!  
 საჭიროა: წრე, ტაში  
 და ბავშვები მღეროდეს.

ჰა, ბავშვებმაც წრე შეჰკრეს  
 ჟრიაშულით, მღერითა,  
 პარასკევას უცქერენ  
 ნორჩი გულის ძგერითა;

დაჰკრეს ტაში, სიმღერაც  
 დასძახეს ხმის წკრიალით,  
 პარასკევაც წრეს უვლის  
 ხტუნვა-გოგვა-სრიალით.

ერთი ხელი წელზე აქვს,  
 ერთიც ზე აწეული,  
 ლოყა გასწითლებია  
 ვით ლალი, ბროწეული.

თვალებს ნაბავს, ხან ახელს,  
 თავს ზევით სწევს, ხან ძირს ჰხრის,  
 მიწას ფეხს არ აკარებს,  
 მუხლში ოდნავ თუ მოხრის.

როცა ტაშთან სიმღერაც  
 მძლავრად აწკრიალდება,  
 პარასკევაც მწყობრ ხტუნვით  
 წაღმა დატრიალდება.

ფეხს აჩქარებს, წრეს უვლის,  
 ნაზ თვალებ-დანაბული,  
 თითქოს ტაშ-სიმღერაზე  
 არის ის გადაბმული,...

და ბავშვები რომ ხედვენ—  
 პარასკევა იღლებს,  
 ტაში წყნარობს, ხელი ხელს  
 სულ მსუბუქად ეხლებს:



ტაშთან ერთად სიმღერაც  
ნელა-ნელა შეწყდება,  
გათავდება, და უცებ  
ქრიაშული ატყდება;

—ჰარასკევას ზე სწევენ  
მადლს უხდიან ბავშვები,  
შემდეგ დაიშლებიან  
გვრიტნი, მტრედნი, შაშვები...

ი. სიხარულიძე.







## სახუქრად ბებიას.



ოასლოვდა ბრწეინვალე აღდგომის დღე-სასწაულები. ჰატარა ელიკოს დაძმებმა მშენიერი სახუქრები მოუძსადეს თავის საეუარელ ბებიას. მარომ ამოკერა ფერადი ძაფებით ჰატარა ბალიში, კო-

ტემ კოსტა ჩარხო. გააკეთა სურათისთვის, გოგიაძ ლამაზი კოლოფი გამოსერსა ფიცრისგან.

— შენ, ელიკო, შენ რაღას სახუქებ ბებიას?—ეკითხებოდნენ ისინი ჰატარა დას.

— მე ჯერ ჰატარა ვარ, არაფრის გაკეთება არ ვიცი,—ძიუგო ელიკომ.—მე ბებოს მოუკრეფე მინდვრის ევაფილების თაიგულს, როგორც საფსუღში მოუკრიფე!

ეველას გაეცინა.

— სად მოკრეფე, ელიკო,—თოვლსე?

— აღდგომამდის დადნება თოვლი,—უპასუხა ელიკომ.

— იქნება დადნეს კიდევ, მაგრამ ევაფილები მაშინვე ხომ არ ამოვა?—წამოიძახა კოტემ.

— მაშინ მე ბებიას წითელ კვერცხს ვახუქებ.

— შენ ეოველ აღდგომას წითელი კვერცხით ულოცავ ბებიას. საწყალი ბებო, მკონი როგორ მოჭბესრდა სულ წითელი კვერცხი!—არ ეძვებოდნენ ელიკოს ბავშვები.

ელიკოს ცრემლები მოერია, და მან კიდევაც წაიღო ხელი თვალებისაკენ.

— ნუ იტირებ, ელიკო,—დაუძახა უფროს ბავშვების მასწავლებელმა ქალმა, რომელიც იქვე ფანჯარასთან იჯდა და რაღაცას ჰკერავდა.—მე მოგესძარები, და შენც მოუძსადებ ბებიას სახუქარს.





— ელიკო მაშინვე მისკენ გაექანა, მასწავლებელმა რაღაც უნდა  
ჩუღა ელიკოს უურძი, და ბავშვებმაც სინხრულით ტაში დაჭკრეს.

— რას, რას გააკეთებთ?!— ერთხმად წამოიძახეს ბავშვებმა.

— თქვენ ვერაფერსაც ვერ გაიკებთ. უკაცრავად თქვენთან,—  
ეს ჩვენი საიდუმლოა! დიმილით მიუგო მასწავლებელმა.

მეორე დღეს თითქმის ორი საათი ვატარებ ელიკომ მა-  
სწავლებლის ოთახში. ქ-ნა მარიაშვილი, — ასე უძახდნენ მასწავლე-  
ბელს, — კარებიც კი ჩააკეტინა ელიკოს. რას აკეთებდნენ ამ  
ოთახში ელიკო და მასწავლებელი, — ვერაფერს ვერ შეიტყო.

კათენდა ბრწინვალე აღდგომა. ბავშვები მსიარულად, საჩუ-  
ქრებით ხელში, შევიდნენ ბებიას ოთახში.

— ბებია ძლიერ ნასიამოვნები იყო, და ბავშვებს მსიარ-  
ულად ჰკოცნიდა.

სულ ბოლოს ელიკო მივიდა ბებიასთან.

— ქრისტე აღსდგა, ბებო! — მიესალმა იგი და მორცხვად  
ჩაუღო ხელში ბებიას თავისი საჩუქარი.

ბებია ამ გაშალა ქალაღდი, და აღტაცებით წამოიძახა:

— რა მშვენიერი ზეპეა! — კვერცხია! ნუ თუ შენ გააკეთე  
ასეთი მშვენიერება?

— ქ-ნმა მარიაშვილი გამოსჭრა ქალაღდის ზეპეა და გაუკეთა  
ფეხები, თავი, უღვაშები, შემდეგ ფარხის ფრთები გაუკეთა. მე კი  
კვერცხი უვითლად შევღებე და შემდეგ სედ ეს ქალაღდის ნაწილე-  
ბი დავაკარი. მოგწონს, ბებიო? — ეკითხებოდა ჰატარა კოკონა.

— ძალიან, გენაცვალე, ძალიან! — მსიარულად მიუგო ბე-  
ბია და მაგრად ჩაიკრა ელიკო. გულში.

ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს.

ასე აჯობა ჰატარა ელიკომ თავის დაძმებს.

— ეს ჩვენთვის კარგი სასჯელია! — წამოიძახა კოტეძი. —  
ჩვენ არ გვინდოდა დავსმარებოდით ჰაწიანს, და ამ კუდრატამ  
კი უკვლას გვაჯობა!








იესო ბავშვებში.





# კურდღლის პატარძალი.

„ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,  
ჭალას ჩიტი მომკვდარიყო...  
ასმა კაცმა ვერ შესკამა,  
პატარძალის ლუკმა იყო...“  
ხალხური.



ყო და არა იყო რა... აქ კი არა, შორს, იქ... იმ  
მთებს იქით, უფრო კიდევ შორს, ჩვენ რომ ვუო-  
ფილვართ, როდისღაც... უფრო წინად, ვიდრე ჩვენ  
დავიბადებოდით, ერთ მთის ძირსა, მწვანე ხასხასა  
კორდის ჰერს სცნოვრობდა ერთი შავთვალა და  
გრძელეურა ლამაზი კურდღელი! კურდღელი იყო, მაგრამ რა  
კურდღელი, — ნაცარა და ნიკორა, თეთრ ქათიბა და რუს-  
ნაბადა, გრძელ ულვაშა და ბროლის კბილა! დილით  
ულვაშსა და თათებს იის ნაშით იბანდა, საღამოთი კი—  
ვარდის ცვარით. ერთთავად დანტოდა, აქ კუნლის ძირს გაჭ-  
კრავდა კბილს, იქ მხევალს. შემოიკრავდა ვერცხლის ხმალსა  
და ერთის ამბვით ჩამოუვლიდა თავის ბოსტანს, სადაც მის მი-  
შით მალა ფრინველს ვერ გაეგლო და ძირს დედამიწასე—ჭი-




ანჭველას. სულ კი კომბოსტო და სტაფილო ეთესა. უუვარდა მათი სრამსსრუმი. უნდა გენახათ, როგორ ამაყად ჩაუკლიდა სოლმე ნათლია კუდგრძელა მელიკოს, რომლისთვისაც ღამის ნადირობას ფუჭად ჩაეაჩნა. ნათლი, არ გინდა სტაფილო გაჭამო?—განდამსებდა და გულისანად ჩაიციინებდა. მელიკომ იცოდა, რომ კუდა დიდგურს დასცინობდა. სიბრახით კბილებს უკრაჭუნებდა და თან გუნებაში იმხროდა: სტაფილოს მე მოგცემდი, ერთი სმალი არ გეკიდოს! მინც მოგასწრებ და მამლაეინწასავით კისერს წაგწვევტავო!

მაგრამ საქმეც ის იყო, რომ ჩვენ კურდღელს ვერსად წასწრებდა. რამდენჯერ მიჭხარვია წყეული ძილის დროს, მაგრამ მძინარეც თვალ—დაჭეტილი დაჭხვედრია, უკან გატრიალებულა ტუსტუსითა: ჩხარა გავეცალო, თორემ თუ სმალი მომსვედრბ, მეც უნდა გამოვყსალო ჩემს ჰატოისანს კუდს და მამინ სომ მასავით კუდა გაუნდებო.

\*  
\* \*

ერთხელ კურდღელმა ნადირობამოიხურვა. დაჭეკტა ბოსტნის კარი, აიღო თოფი და გასწია. იარა, იარა, იარა, ცხრა მთა გადაიარა, ბევრი ჯისვი და ირემი მოჭკლა. ცხრა მტკვარი დააკუბა და ოცდა ათი ლიანსვი. რაც ორბგული იყო, ამოჭვარა, მოიღო ზურგსე, შემდეგ იაღბუსის თავსე ორი დიდი ქვაბი შესდგა, ერთში ირმები ჩადგა, მეორეში თევზი. ვიდრე ქვაბები აღუდღებოდა, სამი ძფრინავი ვეშაში გაჭკსავნა კანეთსა და ქართლ-იმერეთში სულ 8 ურმით მოაზიდვინა, რაც ამ ქვეუნებში ღვინო იყო. ვიდრე მოვიდოდნენ, ოცდაცხრა მდეგმა სუფრას გაშალა. ჩვენი კურდღელი ერთის ამავით გამოიჭიმა. მდეგებსაც მოჭქონდათ და მოჭქონდათ ნანადირევი. თან ვეშაშებიც რუმბებიდან ასხამდნენ ღვინოს. სულ ბოლოს ას თავიანმა დევმა მხარსე შესმულ სამი ფასკუნჯის სელით ოქროს სინი ძიართვა, რომელსედაც რა გინდა სულა და გულა რომ არ ელა-





გა: ვაძლი და მსხალი, ბროწეული და ატამი, ნუში და თოხალი! ასლა ჩურჩხელებს ვინ ჩამოთვლიდა! მერე მურაბა, რა მურაბა: შვინდისა, ალუბლისა, ვარდისა, კაკლისა, ატმისა... ერთი სიტყვით, ეოჟელხანრი სილეული, რასაც ასლა სისმა-რში უფრო ვსედავთ, ვიდრე ნამდვილად შეგვატყმევდნენ ჩვენი სავარელი ვადია — დეიდა — მაშიდეები! ვაძლა ჩვენი კურდღელი, დათვრა, შეძლეგ არწივთა ვაძლილ ფრთებზე წამოწვა, თოვლმა გვერდები არ ვამიყინოსო, და გულიანი სვრინვა ამოუშვა.

— კარგია სანდასან ნადირობა, — ამბობდა სისმრებში თავ-გაყოლილი კურდღელი: გულის ჯავრს ივიწებ, დანსვენებ...

\*  
\* \*

როცა ვამოიღვიძა, თვალცრემლიანი ჩხიკვი დასვდა.

— რა ამბავია, მესობელო?

— რაღა რა ამბავია, ვაიქურდე...

ძთელი ოჯახი დაგექცა...

— რას მეუბნები?


— აქა ქეიფობ, სოგი იქაცა ნახე, სადღაა შენი ბოსტანი?

— ვინ ვამქურდა, ვინ? — დასჭყვივლა კურდღელმა. შიშით დაფეთებული მდეგები მიწაში ჩამვრნენ, არწივებიც აქეთ-იქით გაქრნენ.

— ვინა და იმ წეეულმა შენმა მესობელმა მელა — კუღამ.

— ვაი შენ ჩემო თავო, ვაი შენს შერცხვენასა! — მაცალოს იმ არამსადამ, მაცალოს და სეირს ვუჩვენებ! — სთქვა ეს კურდღელმა, ერთი ფენი იალბუსსა ჰგრა, მეორე შეინვირსა, და მესამეთი თავის ბინასთან მოიჭრა. მაგრამ სადღა რა მინახავს: წეეულ მელიკოს მართლაც ეოჟელისფერი გაენადგურებინა: აღარც კომბოსტო, აღარც სტაფილო. სენილიც სულ ერთიანად ვადაწვა. ვაცეცხლებული კურდღელი მიეჭრა მელიკოს სოროში, მაგრამ იქ არავინ არ დასვედრია, შეძვრა სოროში,





ეველა სწრელები დანსკრია, მაგრამ აძოდ! ბოლოს ჭეჭნა-  
 ჭეჭლამ გადასცა ამაჟი, ქვესკნელისაკენ მიძავალი დაჟინსეო.  
 კურდღელმა აღარც აცია, აღარც აცხელა და ახლა აქეთკენ  
 გამოემუა, გაჭკრა გვერდი, ცხრა — კარა კლდე გადმოანგრია, ზირი  
 იბრუნა ქვესკნელისკენ, ას ოცი რაში დაიჭირა, სუელ აღმა-  
 სის ნალები დააურეჟინა მეტი ჭენებითა. ეველა ნალები და-  
 სცვივდა. უშველებელ სღვას მიადგა. გაჭნედა, მელიკო იქით  
 მიჭქროლაჟდა: წეუელს, გაეგო, რომ კურდღელი დაქედუნაო.  
 ის-ის იყო დასწვდა კურდღელი, რომ მელიკო სღვაში ჩასტა,  
 ტალღებში სღვის ღორს. შეაჯდა ქოჩორსე და შეეჟედრა: სღვის  
 სელმწიფესთან მიძიჟანე და ბედსა გწეო! სღვის ღორი ჩა-  
 ურეუძელაჟდა და სღვის სელმწიფეს აასლა კარსე.

— მიძეჟე, მეჟეჟე, ჩქარა დამძალე სადმე, შენთვის ნა-  
 ტვრის თვალი მოძაქეს, დიდურა მღევარი მოძედეს, თუ დამე-  
 წია, წამართმევსო.

სღვათა სელმწიფემ ზირი დაადო და ლაჟუნ ქვემ დანძალა  
 წეუელი. ამასობაში კურდღელმაც მოიბრინა და ერთი ჩსუბი  
 გაუძართა სღვათა სელმწიფეს, ჩქარა მელიკო მოძეცი, თო-  
 რემ ახლაჟე თავს გაგაგდებინებო. სღვათა სელმწიფე ჯერ-  
 უარსე იდგა, მაგრამ კურდღელმა ვერცხლის სძალი რომ დან-  
 კრა და თავი შუასე გაუჩენა, თვითონ მელიკომ იკადრა გამო-  
 ძრომა და თვალცრემლიანი შეეჟედრა:

— შეცტრდე და მანატე.

— რა უეაჟი ჩემი ბოსტნეული? ჭეითსა კურდღელმა.

— რაღა რა უეაჟი, გენაცვა, ქასქანჯიელთა მეჟის კა-  
 ცები იუნენ, მეჟე ქალს ათხოვეს, კომბოსტოს წენილსა თხო-  
 ლობსო. მეც გავბრეჟდი და მიჟეიდე.

— კარგო, — უძასუნა კურდღელმა: — მე ჩემს ბოსტნეულს  
 დაჟიბრუნებ, მაგრამ შენ კი არ გაგასარებ, გამოძეე, მაჩჟენე  
 რა გსით წაჟიდნენ.

მელა ტუსტუსით გაჭევა უკან. უჩჟენა გსა. კურდღელმა  
 სიკვდილით არ დასაჯა მელიკო, მაგრამ რკინის ზალოსე კი  
 კუდით დააბა, ასე იეაჟი, ვიდრე დაჟბრუნ დებოდეო.



\*  
\* \*

დიდი ომი გადახდა კურდღელს, ვიდრე ქასქანჯიელთა მეფეს დაბარცხებდა. მთელი ჯარი გაუწევია. თვითონ მეფე ათ სწილოს თავსე გამართულ ტანტსე იჯდა და ისე ეომებოდა. მაგრამ კურდღელმა სწილოებს ეშვები დაამსხვრია, უღვაშებით დაითრია ქასქანჯიელთა მეფე და ჰკითხა: რა უფავით ჩემი კომბოსტო! იმან უპასუხა:—რაღა რა ვუვაფი, ქალი გავათხოვე და ქორწილში შემომეხარჯავო.—მაშ მიბოძე შენი ქალიო,—უბრძანა კურდღელმა. მეფე ჯერ უარსე იდგა; მაგრამ კურდღელმა რომ დაბარცხა, ერთი ფეხი ცის გუმბათსე მიუბა, მეორე მიწასე, თანაც სმალი იმისგადა, რომ ზედ შუასე გაეკაფნა. მაშინ იკადრა მეფემ მოწილეება და შეევედრა:

— კურდღელო, კურდღელო, ოღონდ ნუ მომკლავ და ჩემი ქალი თავს შემოგველოსო!

— მერე სადა გეპას იგი ქალი?

— ბროლის კოშკისა, ცხრა-თავა ვეძანი ჰვარაულობს.

კურდღელმა ფეხები აუსხნა. მეფემ დაუსტვინა. სამი კუდბაწარა ცეცხლის მურქვეველი ვეძანი მოჰფრინდა, სამთავე ოქროს ეტლი ებნენ.

— წაგვიყვანეთ ჩემი ქალის კოშკი!—უბრძანა მეფემ, როცა ჩასხდნენ: ვეძანები დაიბრნენ, მიადგნენ კოშკის კალაჯანს.

— ჰხედავ, ჩემი ქალი ძირსა სეირნობს!—უთხრა მეფემ. მართლაც, ქასქანჯიელის ასული ზურმუხტისა და ლაღის სილნარ ქვეშ სეირნობდა. ათასი თეთრი ფარშავანგი კაშლილ მარათი თავს დასდგომოდნენ, თან უნიავებდნენ და თან მსეს უჩრდილავდნენ, ჭორჭელი არ მოეკიდოსო.

\*  
\* \*

მეფემ ქორწილი გადაუხდა. ბედნიერი კურდღელი სიხმარბის კი მღეროდა. სიხმარეულ დედოფლის ალერსში იყო. რო-



ცა გაიღვიძა, ბრძანა, დრო არის წაუვიდეთო. მეფემ სიმეს სა-  
უხმე მოუძსადა. როცა გამოთხოვების დრო მოვიდა, კურდღე-  
ლმა თვის ზატარძალი მოიკითხა.

— ბიჭებო, — დაიძახა ქასქანჯიელმა, — კუზრია კალათი გამო-  
იტათ.

ბიჭებმა, მართლაც, შეძოგორეს კუზრია კალათი.

— ეს რა არის?

— შენი ზატარძალი, — მიუგო ქასქანჯიელმა: — განკებ კუ-  
ზრია კალათში ჩავსვი, რომ მხემ თვალი არა სცეს. როცა  
დამებდა, სამი ფერიან მუხვადა ნათლიად. იმათ გამაფრთხილეს  
როცა ნათლული გაათხოვო, მკნაურობის დროს მხეს არ და-  
ნახვოთ, თორემ სილამხსე დაეკარგებაო, მეც ამიტომ მოვეკუ-  
ზრე ეს კალათი. გთხოვ, სიმე — ბატონო, ბინამდე ასე მიიტანო  
ეს კალათი და მსოფლოდ იქ მოჭხადე ზირი.

კურდღელმა კალათი მოიკიდა. სიმაძრე გადაკოცნა. შეძ-  
დეკ სიდედრი დაიბარა, იმასაც აკოცა. დედოფლის მოხალე-  
ებმა წალკოტიდან მოჭხიდეს უვაჟილები, მორთეს კალათი და  
თაბიკულსავით მოკალთული გამოისტუმრეს შინისაკენ.

\* \* \*

მიდის ჩვენი კურდღელი და გუნებაში ეცინება, რომ ასეთს  
ბედს სწვია ნათლია კუდა-გრძელამ.

— უღვაშები შემიტყვევებს, თუ არ დაგიფხანო! ათას მა-  
ძლავინწას დაგიკლავ, ათი ათას ქონორა ვარინას, სულ ღვი-  
ნომი გაცურავებ! სოროს მოგიერთავ მარგალიტით, სულ შენ დაგა-  
ნათლიებ ჩემს შვილებსა და მეც ვირკებ და შენც ვარკებ ბევრსა.

თანაც ძღეროდა, ძღეროდა შეუწვევტლივ. თითქმის ბურწან-  
ში იყო, რომ ასეთი მსეთუნახავი ერგო ცოლად. ამასობაში  
მოვიდა კიდევ. მედიკო რომ დაინახა, მისი საცოდობით და-  
იწვა. საწვალს, სულ კუდსე ბეწვი გასცვენოდა, მიძძილით წე-  
ლები შეჭნობოდა.



— ნათლია, გენაცვა სულში, რა ჰატარძალი მამოვინე!  
 შენს ამაგს არასოდეს არ დავიუწუებ!—ძვიდა და გადაჭკოცნა.

— რა ამბავია შესობელი?

— რაღა რა ამბავია, ნათლი, მსეთუნახავი მოძევაჲს, მსეთუნახავი!

— ეჭ, ნეტავი შენ, რომ ქორწილზე ჰფიქრობ, მე კი მიმძილით სული მძვრება.

— არა უძავს რა, არაუძავს რა, ახლა კი გაგაზატოხნებ. ჩემ ვეზირად გაგხდი. ახალ ბოსტანს გავაძენებ, შენ დაგაყენებ მოურავად, ქაჩორა ქათმებს ათასობით გაგიჩენ და სულ გაქეიფებ.

— გმადლობ, გმადლობ, ჯერ კი ჰალოდან ამხსენი და მერე მაგასე ვილაზაზაკოთ.

კურდღელმაც ახსნა. ათი სული ცხვარი დაჭკლდა, ასი ფრთხინდორი, ბატი და ისვი. გულიანად გამოამლო მელიკო, ასვა და ასვა, დათურა და კარგათ გამოათრო.

\*  
\* \*

ლხინით იჯერეს კარგა გული. შუაღამე მოუახლოვდა და მელას მილი მოყრია. ფარფაცით იქვე გაიმხლართა და ჩაეძინა. კურდღელმა ახლა გაისხენა თავის ჰატარძალი.

— მოდი, ერთი ვაკოცო!—გაივლო გულში და მელიკოს გვერდში წაჭკრა: ეი, სწინვია, ადექი, აივსე ეანწი, ახლავე ჩემი ჰატარძალი უნდა ამოვიუვანო, დაგვლოცე და გვადღეკრძელე.

ბარბაცით წამოდგა მელა, აივსო ეანწი და სწინწიანი ხმით შესძახა „მრავალ ქამიერ“. კურდღელი კი მიცუნცულდა კუპრის კალათთან და დაუწყო ალაგისი.

— ჩემო მსეო, ჩემო მოვარეჲ...ერთი გულიანად მაკოცინე, გენაცვა.

— ღრრრ!.. ღრრრ!..



ამოიხმა ბეიდან ხმა.

— ნუ წერები ჩემო ქაღალტონო, მხოლოდ ერთი მაკოცნინე და ლამაზ ტუჩებში!—უთხრა კურდღელმა და კულის ფანცქალით კალათს ასწნა.

— ძეფე დედოფალს გაუმარჯოს!—შესძახა ძელიკომ, როცა კურდღელმა კალათში თავი ჩაჭყო ზატარძლის საკოცნეულად. მაგრამ თქვენს მტერს, რაც მაშინ მოხდა.

— აჭუ!.. აჭუ!..


— მოიხმა საშინელი ხმა, და უშველებელი ძაღლი ამოხტა, სწვდა ჩვენს კურდღელს და თავი შიგ მირბი წასწვევითა.

— ვაიძე, დედავ!—შესძახა კულგასეთქილმა ძელამ, —ეს რა უცნაური ზატარძალი მოუყვანია!—სთქვდა გაჭკურცხლა, სავალმა შიშით ცხრა-მთა გადაირბინა, დაეძვა ფერდობზე და მირბის და მირბის, უკან აღარ იხედება. თუძვა მას აქეთ აკერ რამდენმა წელმა გაიარა და აღარსადა სჩანს აღარც მძიერი კურდღელი და არც მისი თვალის დამყენებელი ზატარძალი...

დ. კასრაძე.







# ოთარი სოფელში

(პურის მოყვანა)



ადგა კვირბ დღე. ოთარის მამა შეუ-  
დგა ორშაბათისათვის მსადღებან: გად-  
მოიღო ბეღლიდან თესლი და ტო-  
მრებში ჩაჭყარა.

— მამა, რამდენი დღისა უნდა დასთესო? — ეკითხება ოთარი.

— ოთხი დღისა.

— მერე რამდენი კოდი უნდა დასთესო?

— დღიურსე კოდ ნახევარი. სულ ექვსი კოდი.

— კოდში რამდენი ფუთია?

— კოდ ქერშია ოთხი ფუთი, კოდ ზურში კი — ხუთი.

— რატომ ერთნაირად არ არის?

— იმიტომ, რომ კოდში რვა ჩანახა, ქერიცა და ზურიცა.

მხოლოდ ჩანახა ქერი იწონის ოც გირვანქას, ზური კი, რო-  
გორც ქერსე მძიმე, ოცდახუთ იმიტომ კოდი ქერი ოთხი ფუთია,  
ზური კი ხუთი... არიქა, გაიქე ჩვენებინათ და უთხარი: სვალ  
თესვასე გაზდივართ და ჩვენი გოდორი მოგვეცითყო.



— მაძა, თესვასე გოდორი რათ გინდა?

— თესვასე არ დგუჭირდება, მაგრამ რაკი თესვასე გავდივართ, არ შეიძლება სხვასთან იეოს რამე ჩვენი ავეჯუელობა, თორემ ბარაქა ხელიდან წაკვივა.

ოთარნი წავიდა. ჰატარო სნის შემდეგ გოდორი გადმოიტანა.

— იობანთა ჰური გმართებთო, და ხვალ კი სათესად გავდივართო, — უთხრა ოთარმა მაძას.

— დედა-შენს უთხარნი, — იძას ეცოდინება.

— შვილო, ოთარნი, გაიქე იობანთა და ვარინანი გამორთვი, — ხვალ თესვასე გადი ჩვენებითქო, — დაუძახა ოთარს დედაძი.

— დედა, იობანთა-ჰური გმართებთო, და დგუბრუნეთ-თესვასე გავდივართო.

— მოდი წაუდე, და ვარინანი არ დაგავიწედე, თან წამოიდე, — უძახუნა დედა.



ოზვა (კავით ხენა)

— ქალო, — ეუბნება ოთარის მაძა თავის ცოლს, სადილი და სამხარი კი არ დგუვიგვიანო, თორემ ადამიანს ცარიელ კუჭსე მუძაობა კარგად არ შეუძლიან. ჰურიც ბლომით იეოს; სასმელი არ დაივიწყო.







მე კი ჩამოვუარცხავ. ცოტა ხნის შემდეგ სახლიდან სადილი მოუვიდათ. გაშალეს იქვე ძირს ტომარა, ზედ ზურები, ხახვი, მარლი და ჯამები დაწვეს. მანამ ოთარის დედა ჯამებზე სავაჭმელს დაუსწამდა, ამით ხელი გადიბანეს, და შემდეგ შემოუსწდნენ სუფრას გარშემო. სანამ ესენი ზურსა სჭამდნენ, ოთარის დედა ხან ერთს აწოდებდა ვანწით სასმელსა, და ხან მეორესა.—ეს სადილი ხომ გავათავეთ: ახლა მამლარები უფრო გულიანად შეეუდგებით საქმესა.

— მამა, რას ამბობ, რა სადილი?—გაუკვირდა ოთარსაც, სადილს შუადღის შემდეგ არა ვჭამთ სოლმე?

— სადილს დილითა ვჭამთ, შუადღის შემდეგ კი სამხარსა, — უპასუხა მამამ.

— სამხრობამდის რაღა უნდა ვჭამოთ?

— არაფერი. მუშა კაცია დღეში სამჯერს სჭამს: დილით—სადილს, შუადღის შემდეგ—სამხარს და საღამოთი—ვანშამს.

ოთარმა ეს რა გაიგონა, აიღო ნახევარი ზური და თავისთვის შეინახა.



ფარცხვა

— მე მეგონა, რომ მუშა ბევრსა სჭამს; ის კი არა, და დღეში სამჯერს სჭამს. ჩვენ კი ქალაქში ბარე ხუთჯერს ვჭამდით.



— მუშა კაცი სად მოიცლის წარმარა ჭამისთვის! თუ  
ცა სამჯერა სჭამს, მაგრამ, თუ მეტს არა, ნაკლებს არა სჭამს.

— აბა, აბა, ვუბეჯითოთ, თორემ ამ ოთხ დღიურს ოთხი  
კავით სამ დღესე მეტს მოუნდებით, და ჩვენ-სანაცვლოებს-და-  
გვიგვიანდება თესვა, — განწვევტინა სიტყვა ფემეულანთ შაქრომ.

შუადღისას საქონელი დასვენეს, ჩაღა აჭამეს, წყალი დაა-  
ლევინეს. როცა კავებს შებდა დაუწევს, შეაბეს აგრეთვე ფარ-  
ცხიცა.

— მამა, „ფარცხი“ ამ ფიცარსა ქვიან? — იკითხა ოთარმა.

— ფიცარს კაბდო ქვიან; კაბდოს და უკან მიბძულ ფი-  
ჩის ერთად ფარცხი ქვიან. აბა, მოეკიდე კავსა.

ოთარმა დაჭირა ერთ ხელში სახრე, მეორეთი კავს მო-  
ეკიდა, მაგრამ ბევრი ცდისა და წვალების შემდეგ თავი დაა-  
ნება, რაკი კავი ვერ მოიხმარა. მაშინ მამამ აჩვენა, როგორ  
ეჭარებინა ფარცხი და კავს თითონ მოეკიდა. ფარცხის დეკ-  
ნას არაფერი ცოდნა არა სჭირდებოდა, მხოლოდ თვალ-ეური  
უნდა ედევნებინა, რომ ფარცხს სწორედ წინად გაულილ ალა-  
კის გვერდსე გაეელო.

ოთარმა საღამომდის იმუშავა; საღამოთი სახელში მივიდა  
ჩაი კი დღობა და მაშინათვე დაწვა. მუშაობამ კარგა დაჭაღა  
და ძილი ძაღე მოერიდა.

სამ დღესე ოთარის მამა თავის ქერის თესვას მოჩნა, მერე  
ერთი დღე ორი უღლით და ერთი დღე ერთი უღლით ერთ სანაც-  
ვლოდ წამოყოლილს გაჭევა; აგრეთვე მეორესაც იმდენივე გაჭევა. ასე  
იმიტომ მოიქცა, რომ ისინი თითო უღლით სამ-სამ დღეს ეხმა-  
რებოდნენ თითომ სულ სამი უღელი მოხმარა, რის სამაგიე-  
როდაც თვითონაც სამ-სამი უღელი მოხმარეს ოთარის მამა. მე-  
რე ხარები შესვენეს და სიძინდიც დათესეს.

ანუელის ხუნის დრომაც მოატანა.

აზრილის ნახევარში ერთ კვირა დილით ოთარის მამამ



ქუდი დაიხურა, ჯოხი აიღო და სასლიდან გასვლა დააპირა.

— სად მიხვალ, მამა?— შეგეითხა ოთარნი.

— სოფელში მივალ. სალხი მოიურიდა კიდევ თავსა.

— რა კინდა?

— საანუელეს ხვნის დროა, და მოდგმები უნდა შევიბირო.

— „მოდგმები“ რაღაა?

— „მოდგამო“ ის კაცია, რომელიც ჩემთან გუთანში საქონელს შეაბამს. ჩვენ მარტო სამი უღელი გვევა, და სუთი კიდევ უნდა ვიმოვნო. სამი მესრითა, რადგანაც გუთანზე გუთნის დედის გარდა ოთხი მესრეა საჭირო, — უზასუსა მამამ და სოფლისაგან გასწია.

ოთარნიც უკან დაეღვენა.

შუაგულ სოფელში კაცები ერთ საბძლის ბოლოზე შეერილიყვნენ. რასაკვირველია სოფელში სხვა ბევრი საბძელიც იყო, მაგრამ ჯერ ერთი, რომ ეს საბძელი თითქმის სოფლის შუაგულს იდგა, და მეორეც კი, — რამდენიმე წელიწადი ეოველ-კვირა უქმე დღეს ამ ალაგს იერიდნენ თავსა, — და ამის გამო ჩვეულებად ქონდათ შერჩენილი. აქ სოკი საქმესე ლანარაკობდა, სოკიც ისე მუსნაიფობდა.

— გამარჯობათ! — უთხრა გომართამ მისვლისათანავე.

— კაკიმარჯოს, გომართა... — უზასუსა რამდენმამე ხმამ.

ზატარა ხანს სიხუმე ჩამოვარდა. სოფლის ბოლოდან დაიწიხნა ხმა ისმოდა.

— ჩვენი გოგოები ცეკვა — თამაშობას კი არა სცდებიან და... სთქვა ერთმა.

— მეტი რა საქმე აქვთ, — უზასუსა მეორემ.

— თუთუნი არა აქვს ვისმესა? ქისა შინ დამჩენია, — მომწვევინეთ. აი, ავაშენა დქერთმა! ბარე აბედსაც მოუკიდე... — სთხოვა ერთმა ხანში მესულმა კაცმა, მერე ჩაიღო ზირში ჩიბუსი და ერთი ორჯველ გააბოლა, და განაგრძო.



— უჰ, დაილოცოს ღვთის მადლი, რა კარგი ამინდებია დღეს! ჰიჩა. შეხე, ბაღასნი როგორ ამოსულა! კარგა ხანია ამისთანა გასაფხული არ მასსოვს, ნამდვილი საანუგუეს ხვნის დროა.

— სწორედ რომ დროა, — დაემოწმა გომართა; — აბა, ვინ შეაბამს ჩემთანა? ორშაბათს ვაბამ.

— ორ უღელს მე შეგობამ, — უთხრა მიტრომ, — თავის ღამის შესრითა.

— მიტრო, რას ამბობ, შემოდგომას ერთად რო გვება, აკი შემხირდი, — შენ შეგობამო; შენი იმედი მექნდა, — უთხრა ვაბომ:

— ისიც დავაშავე, რომ მაშინაც შეგობი! რა გუთნის დედა ხარ? შენ რომ კარგი გუთნის დედა ეოფილიყავი, ნიკას თავის ხარების გამოძევების ნებას არ მისცემდი. ერთი ალო დამიკარგე! რო იმის ანგარიშს გაჭყე, — გუთნის დედა ის სომ არ იყო! ეკ არის, რაკი შენი მოუვარება, — იმიტომ ხმა არ გაყვი. შენ უნდა გიჩიულო, იმას კი არა.

— მიჩივლებ რა! რასაც წაიღებ — ნახავ, კასსოვს, ამ ორიწლის წინად ღორის სამწვესური რომ არ მოძეცი? მოელი რვა თვე ჩემდა შვილმა ღორ-სბოს დევნით კოჭები დაიმტვრიბ, და შენ კი სამწვესურსე უარე მითხარი.

— რას ღაპარაკობ, ამორჩეულმა კაცებმა არ გაგამტეუნეს!

— კარგი, გეოფათ, — განწვეუტინა ერთმა.

— მამ, მიტრო, შენი იმედი მექნება, ჰა?

შეგკითხა გომართა მიტროსა.

— ჰო, ჰო, არ კიბტეუნებ.


— მინა, შენ კი არ შეაბამ ჩემთანა?

— თაობა უნდა გამოიყვანო? — იკითხა მინამ.

— ჰო.

— ვერ შევაბამ. ერთი ალო მჭირდება, და მაგისტვის ორმოცი დღე სად უნდა მებას. აღარც სასწავლი მაქვს მეტი.





— ალღო ან გაჭყიდე, და ან საღალღოთ მიწა იმოკლე.  
 — არა, ვერ მოვიცვლი,—საცაა სიძინდი სათონისი ძეკნება.  
 — მე შეგობამ...

— არა,—მე...

— მე...მე...მე—მოისმა სმა აქეთ-იქიდან.

მალე გომართამ მოდგმები იმოკა და დაბრუნდა.

— ერთი ორი დღე მოსვრები უნდა შევება გუთანში კასა-  
 ხედნათა.

— რატომ შარშან არ გახედნე,—ჭკითხა ოთარის დედამა.

— შარშან ცუდ-კალო ივენენ, და იმიტომა.

— ცუდ-კალოს რას ეძახი,—ჭკითხა ოთარმა.

— ცუდ-კალოს ეძახიან იმ მოსვრებს, რომელიც ჯერ ორი  
 წლისა არ არის. ორი წლისა ზირველი კალოა, სამისა—  
 მეორე....

— თაობა უნდა ამოიყვანო, თუ უღელა?—ჭკითხა გომარ-  
 თას ცოლმა.

— თაობა.

— მამა, ამისხენი: თაობა და უღელა რასა ნიშნავს?

— თაობას ვუძახით, როცა გუთანი ორმოცი დღე აბია  
 როცა ოცი დღე აბია იმას უღელა ჭკვიან. რამდენი ალო თაო-  
 ბაში ერგება მოდგამს, უღელაში—იმის ნახევარი.

— როგორ იკებთ ვის რამდენი ალო ერგება?

— უღელ ხარს თაობაში ერგება ორი ალო, დღის-მესრეს  
 ორი ალო, ღამე-მესრეს—ოთხი, გუთანს—ორი, სახნის-საკვეთს  
 —ორი, ღვედს ორი, ჯამბარა-აპყურს—ორი, გუთნის დედას—  
 ოთხი. ისე რომ რვა უღელ საქონელს ერგება თექვსმეტი ალო,  
 ორი დღის მესრეს—ოთხი, ორი ღამის მესრეს—რვა, ესე იგი  
 ერთად ერგებათ ოცდარვა, სედ რო მივიდეთ გუთნის, სახნის-  
 საკვეთის, ღვედის, ჯამბარა-აპყურის და გუთნის დედის ალოები,



სულ ერთად იქნება ორმოცი ალო. როცა თაობა დასრულდება, სოლმე, ბოლოს სედ-მეტად გუთნის დედას ერთი დღე უხნავენ; ამ სედმეტს „ათრეულას“ ეტყვიან.

— დღისა და ღამის მესრე რაღა არის?

— დღის მესრე გუთანსე უხის და თან შუადღისას და საღამოთი საქონელს ამოვებს. ღამის მესრე კი თან დღე გუთანსე უხის, ღამე კი მინდორში საქონელს ამოვებს.

— როდისღა სძინავს?

— შუადღისას, როცა გუთანი გამოშვებულია, და საღამოთი, მინამ ღამე ხარკი გაირეკება.

ოთარს უხაროდა, — გუთანსე ვივლიო, მაგრამ როცა გუთანი შეაბეს, ერთი დღეც კი არ უდევნია.

ხუნა დასრულეს, და ჭინახულიც შემოსულიყო.

ჩაშაღეს გუთანი თუ არა, მაშინვე თიბვას შეუდგნენ. მუშა ხელის ნაკლებობის გამო მკა შეუძლებელი იყო. სათიბად ერთმანეთს სანაცვლოდ მისდევდნენ: რამდენ მუშასაც თვითონ მოიხმარდნენ, იმდენ მუშათ მერე თავის მხრითაც მისდევდნენ.



შეუდგნენ თიბვას.

რასაკვირველია ოთარი სათიბშიც გაჭევა მამას, — ეკონა ბევრ მწვერებს დავუჭერო, მაგრამ მწვერების დაჭერა არც ისე ადვილი გამოდგა, როგორც ეკონა: ათი დღის განმავლობაში მხოლოდ ორი მწვერი დაიჭირა, ისიც სხვის დახმარებით.



როცა თიბვა გათავეს, დაღალული გომართა მუშებისად  
სახლში დაბრუნდა.

— ბიჭო, ოთარ, აქ მო, — დაუძახა ოთარს ერთმა მუშამ, —  
წაიღე ეს ჯვარი და დედაშენს გადაეცი.

— ეს ჯვარი რისა არის? — ჰკითხა ოთარმა.

— ეანისა შეგვარი. როცა ჭირნახულს სულ გავუჭრით ვის-  
მეს, ჯვარსაც შეგვრავთ სოლამე, და ამაში ღვინოს გვაძლევენ,  
და ზატრონსა ვლოცავთ.

— შეილო, საღამოთი ნურსად ნუ წახვალ, ძნის მოხი-  
დვა უნდა მიშეელო.

— რა უნდა მაკეთებინო?

— მინამ ჩვენ ურემს დაუედებო, შენ კამეჩებს წინ დაუდექი,  
რომ ერთ ალაგას იდგენ.



გომართამ დაიწყო ძნის ზიდვა.

გომართამ იმავე საღამოთი დაიწყო ძნის ზიდვა და საღ-  
ამის დღეში სულ მოხიდა, რაც კი ჭირნახული ეთესა.

— ძამა, აქ ჭირნახული როგორ უნდა გავლევოთ, სომ ბა-  
ლახი დაგვიძლის, — იკითხა ოთარმა, — წინად აკი გვეძინდა კალო,  
რამ გააფუჭა?

— არაფერს არ გაუფუჭებია; კალო ეოველ წელს უნდა



კათონსოს, კათონილი მიწა გადაიხვეტოს, მერე მარცვალს და შეიდან თხლად ბზე მოეუაროს.

— წყალი რო დაესხას, სო ატალასდა და მარცვალი შიგ ჩაეკრო?

— ატალასებით არ ატალასდება, იმიტომ რომ წყალი იმდენი არ დაესმის. სამაგიეროდ ლეწვის დროს უნის ქვეშ, მინამ გაილეწება, კალო სულ გაძრება და ისე გაიკუვრება, როგორც კლდე; შედ ლეწვა უფრო ადვილდება, და არც მარცვალი იკარგება.

— ოთარ, ჭბაი, ოთარ!— მოისმა შიოს ხმა,— წამო წყალზე ჩვენ კევრები უნდა ჩაუვართო წყალში.

ოთარი მაშინვე წავიდა.

შიოს ძამას ჩაეტანა თავის კევრები წყალზე და შიგა ჭერიდა. საღამოთი ამოდოა წელიდან, გადააბრუნა და ამოჭრილებში ჩაჭსჭედა.



პურსა ლეწენ

— რათა სჭედავ მავ ქვებსა კევრებში,— კითხა ოთარმა.



— ამ ქვებს—კოხებს—კვერიდან ამოშვერილი აქვს თსუები და ამითი ჭირნახული იღეწება.

— ხვალ კალო უნდა შევაბა,—სთქვა საღამოთი ოთარის მამამ.

— მოხვრებსაც შეაბამ?

— ჰო.

— ზირუელად მე უნდა დაუჯდე,—სთქვა ოთარმა.

— არა, ჯერ არა ბმულან, და შენ ვერ დაიმორჩილებ.

როცა მეორე დღეს ოთარი კალოსე მივიდა, ეხანა კიდევ კარგა ეღეწათ.

— ჯერ არ გიქცევიათ?—ჰკითხა ოთარმა.

— ერთხელ ვუქციეთ.

— კიდევ რამდენჯერ უნდა უქციოთ?

— ორჯულ კიდევ ორთითით ვუქცივთ, და შემდეგ ორჯულ ფიწლითა.

ოთარი კარგა ხანი იყო კალოსე; ხან კვერსე იდგა, ხან დაზობდა, ხან უქცევდა. შუადღისას საქონელი გამოუშვეს, დაასვენეს და წვალი დალაგინეს.



ნიავებას შეუღუნენ

მამა, რატო კამეხები არ გვიბია კალოში,—ჰკითხა მამას ოთარმა.



— კამეჩი ცოდოა, სიცხე ძლიერ შეაწუხებს. ახლა  
 წებლზე ჩანვიდე, ნახავ რა კამეჩები სულ წებალში ჰქრინან.

ოთარმა ეს რომ გაიგონა, მაშინვე მდინარისაკენ წავიდა. ზურს კიდევ გალევინილი იყო, როცა კალოზე დაბრუნდა. ნალეწი შესვეტეს და ნიავებას შეუდგნენ. ოთარმაც აიღო ფიწალი ნიავებისათვის, მაგრამ მაშამ ნიავების ნება არ მისცა, — ნიავება არ იცა, და ძარცვალს ქარსი წაგართმევსო.

როცა ნიავება გაათავეს, ზურს ცხავება დაუწევს ოთარს.



ზურს ცხავება დაუწევს.


რი შეელოდა: ხან ცოცხით ხვავს ბესეს ამორებდა, ხან გასაცხავებელ ხვავს აგროვებდა.

საღამოთი ოთარის დედამ უთხრა გომართას:

— ფქვილი აღარ გვაქვს. ხვალ მე ზურს გავრეცხავ, გავაშრობ, გავცხილავ და დავარკვევ, საღამოთი კი წისქვილში წაიდე.

მეორე დღეს საღამოთი ოთარი დაუჯდა ურემზე და მამას თან წაჰყვა წისქვილში. ერთი დღის შემდეგ ამ ფქვილით ზურს აცხობდნენ. ოთარი სათონეში შევიდა, მაგრამ დედამ უთხრა:—





პურს რეცხენ.

— გადი სათონიდან, თორემ თუ ფენი აიწია, ჰური სულ კუტად ჩაცვივდება.

— მაშ, ჰური მიმიტყესე, და წავალ.

— არა, შეილო, თონესე ჰურის გატყვება არ ვარცა,— ჰური გაუბარჩქოვდება. როცა სასაღში შევიტანთ, იქ მოიტყესე, ოთარი გარედ გამოვიდა.



პურის რკვევა.

— ბიჭო ოთარ, მოდი კეფრსე დაუდექი,— მოესმა მამას სმა,— კაღოს უნდა ვუქციოთ.

ოთარი კაღოსე წავიდა და თან ჭფიქრობდა:





პურსა ცხობენ.

საღამოთი მე და შიო სიმინდების დასამტვრევად წავალო.  
 მინდორშივე დაუნთებთ ცეცხლსა და სიმინდებს შევწვავთ.

ფარი.


(დასასრული).







# რატომ მიუვარს ღრუბლები.



რთხელ საფსუღში მე და მამახეი ეტლით  
სადგურსე მივდიოდით. იქიდან მატა-  
რებლით უნდა წავსულიყავით სააგა-  
რაკოდ ზღვის პირად, სადაც ჩემი დედა  
და ძმები იმყოფებოდნენ.

სადამო ხანი იყო. ჩვენ კარბეძო  
თითქოს დასაძინებლად გამსადებული ბუნება საშინლად მიუყ-  
ჩებულიყო, ხან და ხან თუ დაბრღვევდა ხოლმე ცელქი ჭრი-  
ჭინას ჭრიჭინი. მე, ბუნებით ცელქ ბავშვს, დიდი სათრი და  
მორიდება მქონდა მამისა, ამიტომ, როცა მასთან მომიხდებო-  
და ყოფნა ვოველთვის სიღინჯეს ვიჩენდი. ახლაც სულ-განა-  
ბული ვიჯექი ეტლში, მამის გვერდით და ცხენების ფეხების  
თქარა-თქურს გულმოდგენით ყურს ვუკვებდი. მამაც ჩაფიქრე-  
ბული იჯდა და სადღაც შორს გაიციქირებოდა.

უცებ მამამ სელი ცისკენ გაიშვირა და მითხრა:

— შედავ გოგო! აი აგერ, ამ ღრუბელს—თითქოს ბერი  
კაციაო, გაწოლილა და ჩიბუსს აბოლებს, აბა დააკვირდი!..


მე იმ წამსვე გავიხედე იქითკენ და წარმოიდგინეთ ჩემი  
გაკვირვება, როცა ღრუბელს კარგად დავაკვირდი, მშვენიურად  
გავარჩიე თეთრი მოსუცი, რომელსაც ხელში ვეებერთელა ჩი-



ბუნი ეჭირს და თითქოს აბოლებდა. ამასთანავე ღრუბელი სულ მოძრაობაში იყო და თან და თან მდგომარეობას იცვლიდა. ხან კაცს დაემკვსავსებოდა, ხან ვეებერთელა ქოფაკივით ვამოხნდებოდა, ხან კი შეერთდებოდა და დიდი თოვლის მთასავით დაეუდებოდა, რომლის თხემი აჭარის მთების თოვლით დაფენილ თხემს მაგონებდა, რომლებსაც სშირად ვხედავდი სამთრობით ჩვენი სახლის აივანიდან, სოლო კალთებს ამ მთებსავით მუქი ნაცრის ფერი გადაჰკრავდა. ისეთი მშვენიერი სურათები იხატებოდა ცაზე ღრუბლების მიმოსვლით, ისე გავერთე მათ ჭვრეტაში, ისე მოვიხიბლე, რომ სრულიად დამავიწყდა, მამასთან რომ ვიჯექი და მოურიდებლად ვეჯიბებოდი მას ცაზე სურათების გამოძებნაში. ჩვენ არც შეეტლე ჩამოგვჩა და ისიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ამ უცნაურ საქმიანობაში. ეველანი ისე გაგვიტაცა ამ ახალ გამოგონილმა გასართობმა, რომ ვერც კი შევნიშნეთ, როგორ გაუიარეთ თვრამეტი ვერსი გზა და როგორ ჩავედით სადგურსე, სადაც მატარებელი უკვე მოსულიყო და ის იყო გამკვავრებასაც აპირებდა. საჩქაროდ ჩამოვედით მე და მამა ეტლიდან და შევსტით მატარებელში, შეეტლე კი მხიარულად გამოგვემშვიდობა...

დიდმა ხანმა განვლო ამ შემთხვევის შემდეგ, მამა ჩემი უკვე აღარ არის ამ ქვეყნად. მეც ზატარა გოგონა აღარ ვარ, მაგრამ მას შემდეგ მიუვარს ღრუბლები და სიამოვნებით შევუურებ ხან და ხან მათ მოძრაობას. მწეინს მხოლოდ, რომ არავარ მხატვარი და არ შემიძლია მათი სხვა და სხვა მოძრაობა ფერადებით დახსატო.

ლეო იმნაძე.







## მწყემსი.

ოცა მზე ამოიმაღლებს  
მოკრიალებულ ცაზედა  
და ოქროს სხივთა ლეჩაქი  
გადაიშლება მთაზედა, —

ლალი ვარ, ლალად დამიდის  
ნახირი იალალზედა!


—  
აი, დაჰბერა ნიავმა,  
ტყემ ნაზად დაიშრიალა,  
დაირაკრაკა ტოროლამ,<sup>1</sup>  
ბულბულმა ც შეიფრთხიალა,  
ამღერდა ცა და ხმელეთი,  
აჟღერდა ჩანგი წკრიალა!

—  
ღმერთო, რა სანახავია,  
რა ტკბილი გასაგონია,  
ძმობამა, ჩემზე მდიდარი  
მე სხვა არავინ მგონია!

გ. ქუჩიშვილი.







## ვაიმე ჩემო ტკბილო ამაგო!..

**კ**რუ, კრუჭ, კრუჭ, რა ვენა და რა წეაღს მივეცე! საით-  
კენ მიხვალთ, თქვე ჩემი ცოდვით სავსეებო? არ გეოთ  
გუშინ რაც უბღურება თავზე დამატედა?..

ასე ვაფრობდა კრუსი და ახლად დაჩეკილ ისვის ჭუჭუ-  
ლებს ხან აქედან და ხან იქიდან წამოუვლიდა. მაგრამ აბა  
მოუსვენრებს განა რა დააყენებდათ? ისინი ერთი ორიოდჯერ  
კი წაწიწკნიდნენ ახლად ამწვანებულ ბალახს და თითქოს რა-  
ღაცა მოაგონდათო, უცებ გაფეთებულნი საითკენღაც ისე გაქან-  
დებოდნენ, რომ შეძწწუნებული კრუსი ფენ-და-ფენ ძლივს-და  
მისდევდა.

— რას მიშვრებით, ეეღს რაზე მჭრით, დაგავიწვდათ დიდ  
თვალებს ევაზი და ყორანი. აი, დიდება შენთვის ღმერთო, ეს  
ვისა ჭკვანან, თქვენი ჭირიმე! ი დალოცვილ ღმერთის წინაშე  
ისეთი რა შეცოდება მქონდა, რომ ეს რაღაცა უცნაურები გა-  
მიჩინა!. ღმერთო, ღმერთო!.. კენესოდა კრუსი და ამ ვახვანით  
მოლახლახსე ჭუჭულებს ძალა უნებურად უკან მისდევდა. კიდევ  
კარგი, რომ სახლში ბებერი ნატალია გაფაციცებით თვალ-  
ურს ადევნებდა და ესოდან კარედ არ უშვებდა, თორემ შენი  
ძტერი, რომ გამკელებული ევაზ-ყორანი თავ-აწვეპტილ ჭუჭუ-  
ლებს ხელად გაანადგურებდნენ.



აი გუშინაც ტყემლის ქვეშ ეარაულად მჯდომ ბებერს, მატყელის ჩეჩვის დროს, ერთი წუთით ჩანსმინებოდა და იმ ერთ წუთშივე ეშმაკ და ნათვალთვალები კაჭკაჭს ცხვირწინიდან ევლანზე თამამი ჭუჭული აცვალა.

ბარემ ბევრი უევირა—ჭაე, ჭაეო, მაგრამ რაღა იქნებოდა.

— არა, მე უბედურს, კუდი მადლა ველარ ამიღია და რა მეწიწილებოდა! სადა მაქვს მაგათი დეენის თავი! — კრუსუნებდა ბებერი და კალთა წამოკარწახებული წიწილ-კრუსს სათონში გამოსამწვდევად ერეკებოდა.

— ვისა ჭკვანან, თქვენი ჭირიძე, ეს არ დასაცალებლები! ამათ ჩემი არა ეუურებათ რა და მე ამათი. მამა არა ჭეოლია ასეთი და ე ჩემი ჰატარობაც ხომ მასსოვს, განა ასეთი ვიყავი?.. კრუჭ, კრუჭ, კრუჭ, — კრუტუნებდა კრუსი და სათონისკენ თვითონ უფრო ძიქარებოდა, რადგან იქ კულ-დადინჯე-ბული ცოტა ხნით მანც დაისვენებდა.

ბარემ ასე ფრთხილობდნენ კრუსიცა და ბებერიც, მაგრამ საფრთხე თავიდან ვერა და ვერ აცილეს.

ერთ ცხელ დღეს მენახირეს კარები ჰირთამდე ღია დაეტოვებინა და ბებერი ჰურებისთვის რომ შეტრიალებულიყო, მოუსვენარ იხვის ჭუჭულებს ედროვათ, გარედ გამოცვინულიყვნენ; იქიდან შარა გზით წელის ჩუხჩუნი რომ შემოსმოდათ, როგორც გაჭენებული ცხენები, უცებ ისე დაქვეითებულყვნენ და ერთ წამს მდინარესთან გახენილიყვნენ.

— დამაცათ, შვილებო! სად მირბისართ, უბედურებს თავს ნუ დამატესთ, თქვენი ჭირიძე!.. მისძახოდა კრუსი და საცოდავი მუნძულით უკან ძლივს მისდევდა. ჭუჭულები კი მხის სხივებზე აპრიალებულ ტალღების დანახვასე კინაღამ ვადაირივნენ. მეტი ბედნიერებით მათ გზასედევ სული უმაღ განახეს და როგორც შურდული, წყალში ისე შეცვივნენ.



ნეტა გენახათ ის უშნო, მოლახლახე ჭუჭულები—წვალზე რა ლამაზები და მშვენიერები შეიქმნენ. ვევლამ სხეული ერთ წამს შეისწორა, ჰაწია უფითელი ფეხები მდინარის რითმს დინჯათ ააუოლეს და მთრთოლვარე, ვერცხლის მსგავს წელის ხედა ჰიწხე, ეაეაჩოებისა და წელინინის შორის ეელ-მოღერებულთ რომ ჩაისრიალეს, მათი დანახვა მადლი იყო.

იმათ კი ჰპოვეს ის ბედნიერება, რასაც მათი ბუნება მოითხოვდა, მაგრამ ახლა კრუსი გენახათ. იმ წამს რა დავიდარბაბა იყო! ის მთლათ აბუძგული, შიშისაგან თავ-ხარ დაცემული, როგორც კიეი წელის ნაპირებზე წინ და უკან ისე დარბოდა, მეტის მეტად შემფოთებული ხან ქვემოდგან მოუვლიდა, ხან მეორე ნაპირზე გადაფრინდებოდა, ახლო, სულ ახლო წაქლთან მოიჭრებოდა, მაგრამ იკრძობდა სისუელეს თუ არა, უარესად აფხორილი უკანვე გამოტრიალდებოდა და იყო ერთ ტანჯვასა და დავიდარბაბაში. სანამ ისვები მოხდენილი ცურვით სულ ქვემოდ ჩამოვიდოდნენ და ვენახებზე გავლილ წვალს ღობეს იქით მოეფარებოდნენ, კრუსი კიდევ ემუდარებოდა, მაგრამ მისწედა თუ არა მათი ხმა, მან წეველა-კრულვასთან გააუოლა და გააღმასებულმა ეს და მიამახა:

— ეშმაკები იუაჯით და ეშმაკის გზითაც წახველით. განა არა ვკრძობდი, ვერა ვხედავდი, რომ ისინი ჩემი გასაგინისა არ იყვნენ, რაზე დაკრძანჯე ჩემი თავი... ვანიძე, ჩემო ტკბილო ამაგო!.. განა იმათ ჩემი დედაშვილობის გაწევა შეეძლოთ? აი, კუდიანო ბებრო, ეს ჭირი სულ შენგანა მჭირს, შე... — კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა, მეგრამ ამ ღროს გულგახეთქილი და კალთა წამოწეული ბებერი წამოეწია მას, დიდი ბორჯღლიანი ჯოხნი აედო და ღონე მიქცეული ბარბაცით კრუსს რომ დაუნიღბაზირდა, საწვალს ჯოხით ისეთი დიდი უთავახა, რომ თვალებიდან სულ ცეცხლი წამოაცვივნა.



— აი, შე ოხრად დასარჩენო, შე ვერნად გასასხდომო, აქ რა ჭირმა ჩამოგიყვანა, რაზედ დამღუპე და დამანელეო, — ჯავრობდა ბებერი, მაგრამ სამართალი რომ ეოფილიეო, კრუხის რა ბრალი იეო? ამ დროს სად იეო, სად არა, კრუხს გულ-შემატკივარც გამოუჩნდა. მის წიოკობასა და კრუტუნსე მეზობლიანთ მამალს ვენახები დაგეშილივით გადმოფერბინა და კრუხთან თავგამოდებით მის დასაწენარებლად და მოსაკურკურებლად მოიჭრა.

— გასწი გამეცალე, თავიდან მომწედი! — შეუძახა კრუხმა და გვერდი რომ აუქცია, მოთქმა ისევ ხმამაღლა განაგრძო: ღმერთმა დაგწეველოს შენცა და ეველა შენი მსგავსი. ეველაფერი მძულს შე ამ ქვეყნად! ვაიმე ჩემო ტკბილო ამაგო, ვაიმე ჩემო სიყვარულო!!!... მოსთქვამდა კრუხი და გამწარებული ვინ იცის საით მირბოდა.

გამობა.







# ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი.

I.

## პირველი დღეები.

ჩემი ბავშვობა. მე ჭია ვარ.—ჩემი სახლი პარკია.—განთავისუფლება.



ულ ნორჩი, ქორფა მხსნოვს ჩემი თავი. სრულიად ჰა-  
 წაწკინა, უძწეო არსება ვიუავი. არც ფეხები მქონ-  
 და, არც ჩემი მკვარე ებები, არც თვალები, არც ულ-  
 ვაშები. მქონდა მარტო ჰირი და ტანი და ისიც მჭვირვალე.  
 მსოლოდ ჭამა ვიცოდდი. ჰატარები ბევრი ვიუავით. მიძები შოუ-  
 ლობდნენ საჭმელს და გვასასწრდობდნენ, გვასუფთავებდნენ, კანს  
 გვისელებდნენ, კასათობად მხეხე გაკვირვებდნენ სოლმე. ხშირად,  
 მხე ძაღლს ცახე აცურდებოდა თუ არა, ხედა სართულის მუ-  
 შები შეატეობინებდნენ ჩვენ მიძებს: თბილა, და ჰატარების გა-  
 რედ გამოეყანა შეიძლებაო. მაძინვე ჩვენ ეველას გაგვატარებდნენ  
 სოლმე სუეველა სართულში, სუეველა ქუჩებში და ქალაქის  
 თავხე ამოგვაყოფინებდნენ თავს. რა დღესასწაული იყო ის დღე  
 ჩვენთვის! წევხარ არსეინად, მხე კი გათბობს და გათბობს. კრძ-  
 ნობ, რომ დღითი დღე გემატება ძალ-ღონე. გამდლები თავს  
 დაგუტრიალებენ, გვივლიან და თუ ვინმე ჩვენგანი ჩამოვარდა,  
 მაძინვე შინ წაიყვანებენ. საუბედუროდ, დიდხანს არ გვაჩერებ-  
 დნენ მხეხე, სხვაც ბევრი საქმე ჭქონდათ, იძისაც ეძინოდათ,



ვაი, თუ ვინმე ავანსაკმს მოგვისწროს და ჰატარები მოგვს-  
ცოსო, და ჩვენ ისევე იმავე გზით გვაბრუნებდენ შინ, მაგრამ  
იმავე ოთახში კი არა, არამედ უფრო გრილში. ასე ვცნო-  
რბოდით.

ერთსეულ ვიგრძენ, რომ ჩქარა სუეველა სხეულის ნაწი-  
ლები გამეზრდებოდა და სახლის კეთებას შევუდექი, რომ არა-  
ვის ენახა ჩემი სასუცხოვო ცვლილება. ეს არა დე თვითონ  
მომივიდა თავში, ჩემთვის არავის არ უსწავლებია. სახლი გა-  
ვიკეთე ნაცრის ფერი ქსოვილიდან უფანჯრო და უკარო, ამ  
რიგად გავხდი სუეველასთვის უხილავი. რასაკვირვლია, ამ  
დროს მე არაფერს არ ვჭამდი. ამ რიგად ჩემმა ჰარკმა \*) მთელ  
ქვეყანას მომწვევია. როგორც წიწილას კვერცხში, ისე ვიყავი  
ჩემს სახლში დამწვევადელი.

გავიდა ოციოდე დღე და ვიგრძენ, რომ ჩქარა თავისუ-  
ფალ ცხოვრებას დავიწვებდი. ვიგრძენ, რომ ჩემ ჰარკში სიბ-



ძიებო მოულობდნენ ჩვენთვის საკმელს და გვკვებოდნენ.

ნელე და ირგვლივ დასუთული ჰაერი იყო. ვცდილობდი რო-  
გორმე ჩემი სახეობილე დაძენგია, მაგრამ ამაოდ, ჯერ კი-

\*) ამ პარკს შეცდომით კიანჭველას კვერცხს უწოდებენ.



დეჰ სუსტი ვიყავი, ზარკის კედლებს ვერ მოვერე. სულ მე-  
 ხუთებოდა.

ბოლოს, როგორც იყო, შემოვიკრიბე, რაც ძალი და  
 ღონე მქონდა, წამოვიჭერ, ფეხები გაუჭიმე და სმაურობა გა-  
 ვიკონე: ვიღაცამ გარედან გახია ჩემი სახლი. მე ერთი კიდევ  
 მოვიკრიბე ძალა, კედლებმა ველან გამიძლო, გასკდა, და ჩემი  
 გამდეგი დავინახე.

— დაიცა, ზატარავ, დაიცა, ნუ ჩქარობ, ფეხი არ იტყინო!  
 დაიცა, ჯერ საგებები გავისწორრო!..

ასე ეძახდა გამდეგი იმ ნაფლეთებს, რომელშიც ჯერ კი-  
 დევ განხუცილი ვიყავი.

— აი, ახლა კი გამოდი, მოგეშველო.

კიდევ ძალა მოვიკრიბე და გამოვსტი საგებებიდან, გამ-  
 დელმა გამისწორა ნახი სხეული, სუსტი ფეხები და გამასუფ-  
 თავა.

მე უკვე ეველა სხეულის ნაწილები მქონდა. უღვაშები  
 ენის მაგიერი იყო, და უღვაშებით ველაზარაკებოდი ჩემ ძმებს,  
 ვარჩევდი საგნებს, ცხვირის მაგიერობასაც მიწევდა, მაგრამ  
 თავი და თავი ის იყო, რომ იმით შემეძლო კბენა, ხერხვა,  
 გაჭრა, ზიდვა, თხრა, გაშალაშინება; ჩემი ხელებიც ის იყო.  
 იმით ვმუშაობდი; ამას გარდა ეველაფერი მესმოდა, ვხედავდი  
 კი ძალიან სუსტად.

ასე გავხდი დიდი ჭიანჭველა, მხოლოდ ჯერ-ჯერობით კი  
 ძალიან სუსტი ვიყავი, ვერც ვიძროდი: სულ ვიწვევი და იქით-  
 აქით ვიცქირებოდი.

დიდ მოედანზე აუარებელი ახალგაზრდა ჭიანჭველები იწ-  
 ვნენ, იქავე გაძღლები დარბოდნენ და ფუსფუსებდნენ. მართლაც  
 რომ ბევრი საზრუნავი ჰქონდათ: ზოგისთვის ზარკი უნდა გაე-  
 ხიათ, ზოგი საგებებიდან კბენთავისუფლებათ, ზოგისთვის



ტანი უნდა დაეხილათ და სხეულის ნაწილები უნდა დაესწორებიათ, ამასთან არსად დაგვიანება არ შეიძლებოდა, რომ ჭიანჭველები არ დაღუპულიყვნ.

ჩემს გვერდით ერთი დიდი ჰარკი იდო. ერთმა გამძლემა მარჯვით განია ჰარკი და დაიფიცა.

— რა ჭიანჭველას! ვერც ასწევ, ნამდვილი ფალაზანია! აბა, გამომვერი ერთი, ქვეყანა გააკვირე.

განისმა ტკაცნანი და ჰარკი გასკდა, ჭიანჭველა გამომგონა, ტანით თითქმის ორი. ჩემოდენა იყო.

გავიდა ბუერი დრო. ჩვენ ისევ ვიწვევით, გამძლები ისევე გვივლიდნენ. მე ბოლოს მომწეინდა აძენი წოლა და დავაპირე წასვლა, მაგრამ სად, კი არ ვიცოდი.


გამძელმა შემატეო, რომ ვინმეოდი, დამიჭირა და ებით უკან წამართია. მე მანც ჩემსას არ ვიძლიდი და ხელახლა წასვლას ვაპირებდი. სასტკიე გამძელი თვალს არ მაშორებდა, და ბუერიც ვიფართხალე, ბუერიც ვიჯიუტე, მაგრამ იმან მანც დამაწვინა ჩემ ადგილას, თუცა ტანით მე მასედ დიდი ვიუავი.

— დაიცა, დაიცა, ცელქო, სად მირბისარ? ჯერ ფეხზე დგომა არ შეგიძლია და სეირნობა გინდა? ჯერ ტანი გავიშრეს, გავიმავრდეს, მაშინ მე თვითონ მთელ ქალაქს დგარონინებ, მანამდის კი წუნარად იწვევი. აი შენ მეხობელს „წითელ-უღვაძას“ რა კარგად უჭირავს თავი: წევს და არ ცელქობს, ნამდვილი ფილანსოფოსია!

ამ სიტყვებით გამძელი მივიდა მასთან და რქე მიაწოდა. მაშინ მივხვდი, რომ გამძელს უნდა დაუუჯერო, დაწუნარდი და ცოტ-ცოტა შევუდექი სხეულის ნაწილების სწორებას. გამძელი მოვიდა ჩემთან, დამალეგინა მწვანე რქე და ტკბილად დავიძინე.

(შემდეგი იქნება).

კაკი.







## რას გამიჩერდი, ღვინიავ!..



ას გამიჩერდი, ღვინიავ,  
გასწიე, გენაცვალეები;  
რად მიცქერიან მოწყენით  
შენი ლამაზი თვალები...

მგონი მოხუცდი, ერთგულო,—  
მსახურობ ოცი წელია;  
ამ სამსახურში გეტკინა  
შენი მაგარი წელია.

რა უყო, ჩემო ღვინიავ,—  
მეც შემეპარა ჭაღარა;  
შენსავით მიწამ მომქანცა,  
აღარ ვარგივარ, აღარა.

მაგრამ... გასწიე, ძვირფასო,—  
უკანასკნელი წელია;  
ერთადა ვწევდით უღელსა,  
ერთად დავლიოთ ღღენია.

შრომის შვილები ვიყავით,—  
კიდევ ვშრომობდით მარადა.  
შველას არ ვთხოვდით არავის,  
სხვებსავით კარის კარადა.

მოკვდებით... სამაგიეროდ  
მაგალითს მივცემთ ყველასა,  
თუ როგორ უნდა შრომობდნენ,  
და მით ეძებდნენ ლხენასა.

მაშ, რას გაჩერდი, ღვინიავ,  
გასწიე, გენაცვალეები;  
რას მიცქერიან მოწყენით  
შენი ლამაზი თვალები?..

დ. ელიოზიშვილი.






# „იგი ზღერის“...

მას ხედავთ?!... იგი ზღერის,—  
 მხიარულად გაჩვენთ თავსა,  
 მოუსმინეთ ჰანგის ზღერალს—  
 არას ზღერის ცუდსა, ავსა:  
 გაიგებდით,  
 რად ზღეროდა,  
 როგორ სცემდა მისი გული  
 ან სიცოცხლეს რად შეტრფოდა  
 ის საბრალო დადაგული.

იმას ხედავთ?!... როგორ სცივა,  
 ენატრება ლუკმა პური,  
 აჰა ჩუმად... მოუსმინეთ  
 წამს ათხოვეთ მასაც ყური:  
 გაიგებდით,  
 რად ზღეროდა,  
 როგორ სცემდა მისი გული  
 ან სიცოცხლეს რად შეტრფოდა  
 ის საბრალო დადაგული.

დათიკო ნ. ლოლობერიძე. (დონ-ლანი).







# შემოწი რულება.

ქურნალ „ნაკადულის“ რედაქციას:

თამამად შემიძლია ვალიარო, რომ ქურნალი „ნაკადული“ ქართველ მოზარდ თაობისათვის აუცილებელი და სასიქადულო გამოცემაა და ამისათვის ჩვენც, ქართველი მუშები, სხვებთან ერთად მოვალენი ვართ, რამდენათაც შეგვეძლება, გამოვიღოთ ჩვენი მცირედი, მაგრამ გულწრფელი წვლილი სხენებული ქურნალის ფონდის გასაძლიერებლად და განსამტკიცებლად.

მე პირადათ ჩემ მეგობარ-ნაცნობებში შევეაგროვე ორიოდე კაპეიკი, რასაც გიგზავნით თქვენ, პატივცემულო რედაქტორო ნინო ნაკაშიძე.

## სია უმომოწი რულებათა:

- |  |            |
|--|------------|
| 1) საშა კონჭარია, „ცუგა“ საშას ასული და დორა ივანეს ასული კონჭარიასა . . . . . | 15 მანეთი. |
| 2) ვასასი (ნიკ. ლ—ძის ასული) კაპანაძისა . . . . .                              | 3 „        |
| 3) გუგული ვას.-ძე კაპანაძე . . . . .   | 4 „        |
| 4) ლიუბა (ნიკ. ლ—ძის ასული) კუციავასი . . . . .                                | 5 „        |
| 5) ისიდორე კუციავა . . . . .   | 5 „        |
| 6) თამარ სევერიანის ასული ღოღობერიძე . . . . .                                 | 7 „        |
| 7) ნინუცა პავლეს ასული ღოღობერიძე . . . . .                                    | 5 „        |
| 8) ქეთუშა და ვერიკო ნესტორის ასულნი ღოღობერიძეები . . . . .                    | 6 „        |
| 9) მასწ. ვასილ მელიტ.-ძე კაპანაძე . . . . .                                    | 5 „        |
| 10) პელაგია და მაშურა პავლეს ასულნი მელქაძეები . . . . .                       | 5 „        |
| 11) ასოთამწყობი გერასიმე ჯორბენაძე . . . . .                                   | 10 „       |
| 12) „ ბაგრატ გიგოს ძე ადამია . . . . .   | 5 „        |
| 13) „ ივანე სოლ.-ძე კანდელაკი . . . . .  | 3 „        |
| 14) „ ფატმა დ.-ასული დორნო . . . . .   | 3 „        |
| 15) გალაქტიონ იობიძე, კოლია მალანია და მიხეილ ფიფინაშვილი . . . . .            | 5 მანეთი.  |




თბილისის სადგურზე პირველ-ხარისხოვან ბუფეტში მოსამსახურე პავლე ჟოჟიკაშვილმა ჩემი დავალებით სიხარულით მსწრაფლ შეაგროვა ამხანაგებში შემოწირულება და გადმომცა ჟ. „ნაკადულის“ სასარგებლოდ, რისთვისაც პირადათ ვმადლობ.

|   |           |
|---|-----------|
| 1. სერგო ცხომელიძემ . . . . .   | 20 მანეთი |
| 2. თვითონ ჟოჟიკაშვილმა . . . . .  | 10 „      |
| 3. სოფრომ ჯანელიძემ . . . . .   | 5 „       |
| 4. გიორგი ვაჩეიშვილმა . . . . .   | 5 „       |
| 5. ნიკო ნებურიშვილმა . . . . .  | 3 „       |
| 6. გალაქტიონ ყიფიანმა . . . . .   | 5 „       |
| 7. ამბერგი კირვალიძემ . . . . .   | 5 „       |
| 8. პარმენ ისიანმა . . . . .   | 10 „      |
| 9. ნესტორ მდივანმა . . . . .  | 5 „       |
| 10. ალექს. გიორგ. ცხომელიძემ . . . . .                                    | 15 „      |
| 11. კონსტანტინე ბარაზინმა . . . . .                                       | 5 „       |
| 12. იოსებ მარშანიამ . . . . .   | 5 „       |
| 13. დემოკრ. კლუბის სცენის მოყვარე<br>ალექსანდრე კოჭლამაზაშვილმა . . . . . | 20 „      |
| 14. სერგო ჟღენტმა . . . . .   | 8 „       |
| 15. მალაქია ჩიქვილაძემ . . . . .  | 10 „      |
| 16. ნიკიტა ჩიტაიამ . . . . .  | 3 „       |

სულ . . . 220 მანეთი.

ღათიკო ნ. ლოლობერიძე.






ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქტორს.

ამასთანავე გიგზავნით 43 მ., ფოსტის ხარჯის გამოკლებით. შეგროვილი ჩემ მიერ ზესტაფონის ფ. დ. კონტორაში, თქვენს ჟურნალის ფონდის გასაძლიერებლად. შემწირველთა სია:

|                            |      |                             |            |
|----------------------------|------|-----------------------------|------------|
| 1) ი. გამცემლიძე . . . . . | 3 მ. | 6) ი. საყვარელიძე . . . . . | 5 "        |
| 2) პ. ფაშტიანი . . . . .   | 3 "  | 7) ვ. გოგიჩაძე . . . . .    | 6 "        |
| 3) ი. გაბუნია . . . . .    | 5 "  | 8) პ. შავიძე . . . . .      | 3 "        |
| 4) ა. აღამია . . . . .     | 5 "  | 9) ვ. კაკაურიძე . . . . .   | 5 "        |
| 5) ი. ებანოიძე . . . . .   | 5 "  | 10) ფ. ბაქანიძე . . . . .   | 3 "        |
|                            |      | სულ . . . . .               | 43 მანეთი. |





ამხსნაგების მონდობილებით იოველ საყვარელიძე.

„ნაკადულის“ რედაქტორს დიდ მადლობას უძღვნის შემომწირველთა დახმარებისათვის.





# კანონი რებუსები





დასურათებული სახმაწვილო ჟურნალი

# „ნაკადული“

(წელიწადი მეთუთხმეტე)

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით

განგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით  
**მცირე-წლოვანთა და მოზრდილთათვის.**

ჟურნალი გამოვა თვეში ერთჯერ მცირე-წლოვანთათვის—48 გვერდი და მოზრდილთათვის—64 გვერდი.

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—55 მან. ნაკადული წლით—30 მან. ცალ-ცალკე: მცირე-წლოვანთათვის—30 მ. მოზრდილთათვის—30 მან.

ფოსტის აღრესი: თბილისი, „ნაკადულის“ რედაქცია. ტელეფონი 7—51.

რედაქციაში არის გასული წლის კომპლექტები.

## ხელის მოწერა მიიღება:

**თბილისში**—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. შემოსასვლელი—დავითის ქუჩიდან, № 2, კრა-კითხვის გამაგრებულ საზოგადოების წიგნის მალაზიაში, სახლის ქუჩა; **ქუთაისში**—ისიდორე კვიციანიძისთან, მ. ყაუხჩიშვილიან, თ. მთავრიშვილთან და მატრონე მომფორიასთან; **ფოთში**—უდმილე მეგრელიძისთან; **ბათუმში**—ტროფიმ ინასარიძისთან—ოსტაში; **თელავში**—ვანო პაატაშვილთან; **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან; **ჭიათურაში**—ი. წერეთელთან; **ანში**—მ. ი. ჭავჭავანიძისთან; **ოზურგეთში**—სალომე ხუნდაძისთან; **ანანხუთში**—მასწავლებელ ჯუღელთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

გამომცემელი თ. პავლე იოსების ძე თუშანიშვილი.